

გაყვანილი ღირსი:

თვე	მ.წ. კ.	თვე	მ.წ. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

რედაქტორი: ივ. ჯავახიშვილი
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებთა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვა.
გამაურც. საზოგადოების კანცელარიის
ფასა განცხადებისას:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კობ., მეოთხეზე—8 კობ.

„ივერია“ ტელეფონი № 227

„ივერია“ ტელეფონი № 227

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, გარდახდები იქნება წლის წირვა დილ-
მის განსვენებულის მღვდლის

გრიგოლ ღვთისმშობლის პის გიორგიის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის შვილები აუწყებენ
ნათესავთა და ნაცნობთა და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელ დილომს
წირვისა და პანაშვიდზე დასასწრებლად. წირვა დაიწყება დილის 10
საათზედ. (1—171—)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს,

ქართულ დრამატულ საზოგადოების არტისტებისაგან
ავადმყოფის არტისტ-ქალის კნ. ბარ. ავადმყოფის
სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნება

— პირველად სხალი შაქსა —

სიულევან

კომედ. 3 მოქმ. თხ. მელიქიძისა, თარგ. დ. მესხისა.

დასასრულ

სხანაჟი „მირიკოპოლიტიანი“

თხ. დ. კვხიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქკ. ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, გა-
ლუსტოვისა; ბბ. აბაშიძე, მესხი, შათირიშვილი, კანდელაკი, იმედაშვილი,
თამაზიშვილი და სხ.

ავადმყოფის ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ,
რეჟისორი მ. აბაშიძე და პ. მესხი.

კვირას, 15 გიორგობისთვის, საღამოს 6 საათზედ ტფილისის სათა-
ვად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო კრება

ქართველთა სააღმშენებლო ამხანაგობის

„შუამავალისა“

კრებამ უნდა აღმოაჩინოს: 1, თავმჯდომარე კანტროლისა თანხმად
წარსული წლიური კრების დადგინებასა და 2, ფარის წარმომადგენელი,
რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაუ-
რი საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

ფელეტონი

საქართველოს და მისის კუთხე- ბის სახელწოდებანი

(დასასრული *)

ზემოთ აღნიშნულის წესით წარ-
მოდგარა უმეტესი ნაწილი ქალაქე-
ბისა, სოფლებისა, მთა-გორაკებისა
და მდინარეების სახელწოდებანი.
მაგალითად, ავილოთ ტფილისი. ხომ
ყველა ვიცით, საიდან არის წარ-
მოდგარი ეს სიტყვა. არ ვიქმნებო-
დით შემცდარი: ყველა ტფილისში
მცხოვრებლებისათვის ტფილისელები
დაგვერქვა და მერე გვეძალადებინა
ტფილისელები ცალკე ტომს შედ-
გენო. სწორედ ასევე წარმოსდგა:
აფხაზები სხვა ტომის ხაზხაო. ესე-
ვე ითქმის: რაქას-ს, სოხუმის-ს (სო-
წყალი, ხუმი-ქვიშა, სილა), ოზურ-
გეთის და სხვ. შესახებ. ბუნების

ძალსაც კი მისთვისება გეოგრაფიუ-
ლი სახელწოდება, მაგ., ქარს (გე-
ლავერული).

დანარჩენს კუთხეებს საქართველო-
სას დარქმევია სახელი რომელსამე
ისტორიულის გვირისა, რომელსაც
რაიმე დიდი მონაწილეობა მიუღია
ამ კუთხის ისტორიაში; ან „სახელი“,
ან „გვარი“ ან მისის „ღირსების“
აღნიშნული სახელწოდება. მაგალი-
თად, სა-მურზაყან-ო. მურზაყანი არის
სახელი; ბევრს ეხლაც ჰქვიათ ეს სა-
ხელი; უთუოდ ერთს რომელსამე
მართველს ამ კუთხისას ერქვა იგი
და აქედან თვით ადგილსაც დაერქ-
ვა სა-მურზაყან-ო. ამნაირად არის
წარმოდგარი, სხვათა შორის, სახელ-
წოდებანი: სა-ციციან-ო, საგურამ ო,
სა-წულუკიძე-ო და სხვ.

სახელწოდებანი „სამცხე-საათაბა-
გო“ და „კახეთი“ ამნაირათვე არიან
წარმოდგარი. „ათაბაგობა“ ღირსე-
ბა იყო, მინიჭებული თამარ მეფისა-
გან. „კახეთი“ უნდა იყოს წარმო-
მდგარი სახელისაგან „კუხი“. „ქართ-

შარდს, ნახელოს, სისხლს, რძეს და
სხვ.
ჩრევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-
რის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფა-
ხლად; ფასი კონსილიუმისა და მკურნალობისა-
თვის—მორიგებით.
დაიქვეყნა სამკურნალო დაქტო-
რი მედიცინის ნავასარდინი.
Первая частная лечебница Д-ра На-
васардиана.
Тифлиси, противъ памяти. Воронцову.
(7)

ბირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდინისა
(კუთხაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ
დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდინი, 11—12 საათ.
სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილი-
სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
კ. მ. ჩაქაყანი, 9—10 საათ. სნე-
ულეობანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-
ვებისა.
ზ. ი. ბახანასიანი, — დილის 11—
12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. შარტასკვიანი—12—1 საათ.
ყურის, ყელის, ცხვირის და გულის
ავადმყოფთ.
ბ. შ. კანაშვილი, 1—1 1/2 სა-
ათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ბ. გ. გურგია, 1 1/4—2 1/4 ს. ში-
ნაგანი და საშარდეს ავადმყოფობის
სადამოაობით:
გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ.
შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ-
ობის.
ბ. ნ. შაჩუკავა—6—7 საათ. ნე-
რვების (ვლექტროტერაპია), ვენე-
რიული და კანის სნეულებ.
ბ. ა. ნავასარდინი—6 1/2—7 საათ.
ტ. ი. რუდეკია—სამკურნალოში
გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროს-
სკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად

შარდს, ნახელოს, სისხლს, რძეს და
სხვ.
ჩრევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-
რის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფა-
ხლად; ფასი კონსილიუმისა და მკურნალობისა-
თვის—მორიგებით.
დაიქვეყნა სამკურნალო დაქტო-
რი მედიცინის ნავასარდინი.
Первая частная лечебница Д-ра На-
васардиана.
Тифлиси, противъ памяти. Воронцову.
(7)

მთავრობის განკარგულებანი
—
ეზოდა სამსახურის წელთა შესრუ-
ლების გამო ნადავრის სოკუტინაობა
—ახალგაზრდა მასწავლებლის თანა-
შემწეს თაგ. აბახაშვილი; ტიტულარნი
სოკუტინაობა—ბორჩხაშვილი საბაქაშვილი
ნაწილის ბაქაშვილი თაგ. წულუკიძე;
გუბერნატორის სეკრეტარია—დუშუბინის სა-
მსახრო პოლიციის გამგებანი საქმის
მწარმოებელს დაეფიცა შვილს; კალაქის
რეგისტრატორია—ტფილისის საგუ-
ბერნიო გამგებანი განგაზარდის მოხე-
ლეს პეტრიაშვილს.
გადაყვანილ იქმნა: საშურის ფე-
ლსა ლეგატის განტარის მოხელე
ალექსანდრე ბებურიშვილი—სურამის
ფელსტა-ტელეგრაფის განტარებაში.
დათხოვნილ იქმნენ სამსახურადგან:
კრკენის ოლქის სასამართლოს ბრალ-
მდებელი სარაჯიშვილი და თემურაშვილი
ნაწილის გამამბებელის თანამდებობის
აღმსრულებელმა ბუბარიაში; —რაღანაშვილი
რაიონის სეკრეტარია საქმეთა სამინისტროში
იქმნენ ჩარბახაშვილი; —სურამის ფელსტა-
ტელეგრაფის მოხელე ვასალ ხარებაშ-
ვილი — თავისისავე თხოვნით, ტფილი-
სის მეტეოსის სასახურადად საგანგებო-
ფელს აფთქქის გამგის თანამდებობის
აღმსრულებელი პლატონ ბურდული—
თავისისავე თხოვნით.

ტფილისი, 10 ნოემბერი
რომ იტყვიან მონასტერი აირიაო,
სწორედ დღევანდელ პოლიტიკურ
მდგომარეობაზე ითქმის. ცხადია,
ორთა კავშირი ერთის მხრით და
სამთა-კავშირი მეორის მხრით რაღაც
ღამის თვეშია დიდის ცვლილების
დღისა წინაშე. მართალია, ჯერ ვე-
რავის ვერ გაუგია, — ვინ ვის დაე-
ძებს, ვინ ვის გაუბრძის, ვინ ვისთან
ჰცდილობს ხელი-ხელ გადამას, ვინ
ვინ ხელიდამ ეცლებს, მაგრამ რომ
მიწის ძვრა ამ კავშირთა ფეხ-ქვეშ,
ამას-კი ადვილად ჰგონობს ყველა
ის, ვისაც ცოტა ოდნად მაინც თვა-
ლი ახილებული აქვს და ყურადმ
ბამბა აქვს გამოღებული. აშკარაა,
იგი ნიდაგი, რომელზედაც დაითესა
და ამოვიდა ეს ორმხრიული კავში-
რი, თავს ვეღარ იქერს, შიგ რაღაც
ქია გაუჩნდა და კავშირთა ფესვებს
ერჩის და ჰღრღნის. აშკარაა, არც
ერთი იგი კავშირი არ შეეფერება
ეხლანდელ საქმეთა ვითარებას და
ან უნდა შეეწონოს დღევანდელს
გარემოებას და ან უნდა დაიფუშოს,
როგორც არაფრის მაქნისი გაუქმე-
ბული ციხე-ბურჯი და სხვა აშენდეს.
ორსავე შემთხვევაში ფერი და სახე
უნდა შეიცვალოს და ეს, ჩვენის
ფიქრით, სადღეგალიო საქმეა მხო-
ლოდ.
ერთიც და მეორეც ხსენებულ კა-
ვშირთაგანი გაჩნდა და დაიბადა ევ-
როპის პოლიტიკის ნიდაგზე, მარ-
ტო შიდა ევროპის საქმეთა ავ-კარ-
გიანობამ გამოიწვია და ამიტომაც
როგორც კავშირთა მონაწილენი,
ისეც ღონისძიებანი ამ ავ-კარგიანო-
ბას შეეფერნენ. ევროპიელთ შინ
ჰქონდათ ერთმანეთში გახლართულ-
ნი საქმეები რე ამ საქმეთა გასაძლიერ-
და დაიბადა ერთი კავშირიც რე მეორეც.
ეხლა კი სულ სხვა ხანა დადგა. სი-
მწვავე საქმეებისა შიგ ევროპაში ცო-

*) იხ. „ივერია“, № 241.

ტად თუ ბევრად განვლდა, მისუსტდა. ევროპის თვლი მიიზიდა აფრიკამ, აზიამ, სახელდობრ, ჩინეთმა და ერთობ შორეულმა აღმოსავლეთმა. ეხლა ბრძოლა და დატაკება ინტერესებისა ევროპის გარედ არის. ევროპის გარედ-კი სულ სხვა ამბავია. რაც შიგ ევროპაში ერთმანეთს აკავშირებს, ევროპის გარედ აცალკევებს, ან სულ უქმად ჰხდის კავშირსა. ამიტომაც არა ერთი და ორი მაგალითია, რომ ევროპის სახელმწიფონი, რომელიც შიგ ევროპაში ერთმანეთს მუშტს უღერებენ, ევროპის გარედ-კი ერთმანეთს მხარს აძლევენ. მაგალითებრ, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ერთად ჰმოქმედებდნენ ჩინეთ-იაპონიის შერიგების დროს და ეხლაც თითქმის სანძივ ერთად პირში უღდგანან ინგლისს ჩინეთის გამო. ან, მაგალითად, თუნდა ავსტრია ავიღოთ. შიგ ევროპაში ავსტრია იძულებულია გერმანიასთან კავშირი ჰქონდეს, რადგანაც ბალკანეთის საქმეთა გამო ძლიერი მომხრე ექირებება. ჩინეთში და ან აფრიკაში, საცა ეხლა გერმანია დიდ შარაგზას იკეთებს, ავსტრიას არცა სცხვლა და არცა სცივა და რამ უნდა აიძულოს გერმანიის მომხრეობა და ამისათვის თავს რად აიტკივებს.

ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესები რომ ასე გულმოდგინებით შორეულ აღმოსავლეთს მიამბობდა, ამან ერთი ფრიად დიდ მნიშვნელობიანი ამბავი მოახდინა ქვეყანაზე. გერმანიამ, რუსეთმა კარგა დიდი ადგილები ჩამოათალეს ჩინეთსა და ჩინეთის ზღვის პირებში კარგი ნავთსადგურები დაიჭირეს ჩინეთში შესასვლელად წყნარ ოკეანიდან ზღვის ოკეანეში სასვლელად. აქ ზღვის პირებში ბინა დაუდევს კარგა მოზადილ ფლოტებს. საფრანგეთმა და ინგლისმაც სამაგიერო მოსთხოვა ჩინეთს და უძღურეს ჩინეთს სხვა რა გზა ჰქონდა, რომ არ დამორჩილებულიყო. ამ სახით მთელი ოთხი დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპისა მიუახლოვდა ჩრდილო-ამერიკის შტატებს და ამ ამბავს, რა თქმა უნდა, ძლიერ უნდა ჩაფიქრებინა იგი შტატები.

დღეს აქამომდე ჩრდილო-ამერიკის ძლიერი სახელმწიფო არ ერეიყო მიმართული. მტრები რომ შემოესვოდა, ქართველობა სცდილობდა მხოლოდ გამარჯვებას. მტრები თუ დასძლევდნენ ქართველებს, დაატყვევებდნენ და თავიანთ სამშობლოში გადასახლებდნენ. ამ ისტორიულის მოვლენებისაგან შემდეგი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ: 1) ქართველს ტომში არავინ გარეულა უცხო ტომის ხალხისა; 2) ქართველი ხალხი მიჰყავდათ ტყვედ და ასახლებდნენ უცხოეთში. დღეს ვხედავთ, რომ სპარსეთსა, ოსმალეთსა, ოსეთსა, დაღესტანსა და სხვ. ძალიან ბევრი არიან ქართველები, მაგალითად, ქ. მოზდოკის მახლობლადაცაო, როგორც იწერებოდნენ.

ომი და ბრძოლა ხშირი მოვლენა იყო, რის გამო ყოველს საუკუნეში საქართველოს კუთხების მცხოვრებლები ირეოდნენ და იცვლებოდნენ. ჯერ შეგვხვდებოდნენ მტერს და თუ აღარ შეიძლებოდა წინადადგომა, ცოლ-შვილს მაინც უბატონებდნენ იმით, რომ ან მთიულე-

მეებში. ამერიკა ამერიკისათვისაო, იძახოდა დღეს აქამომდე და ხმას არ ეღებდა, ვიდრე ვინმე თვით ამერიკას არ მიესვოდა. ეხლა კი თვალწინ ამოუტუზუნდენ ოთხი დიდი სახელმწიფონი ევროპისა და, მოადგურება ამერიკა ამერიკისათვისაო, ცოტა არ იყოს შეირყა, შეტოკდა, ცოტად თუ ბევრად განსაცდელს მიეცა. ფრთხილსა და წინდახედულს ამერიკელებს მიეცათ შიში ამ განსაცდელისა და დღეს ვხედავთ, რომ ამერიკამაც იკადრა ფეხის გარედ გამოყოფა. მთელი ეს ომი ისპანიისა და ამერიკის შორის, ჩვენის ფიქრით, სათავეს და მიზეზს ამ გარემოებაში ჰპოულობს. კაცმა რომ გასინჯოს რუკა, აშკარად დაინახავს, რომ ის კუნძულები და ადგილები, რომელსაც ამერიკა ეხლა ართმევს ისპანიას, სწორედ გზის შესაკვრელი ადგილებია ამერიკის ხელში, ამერიკა თავის მტერს ჯერ აქ დახვდება იარაღით ხელში, ჯერ აქ მოაფხანინებს თავს, აქ დაუნებლებს მადას ამერიკაში შესვლისას. ფილიპინის კუნძულებს ამ ანგარიშში ცოტა ადგილი არ უჭირავს და მიზეზი რისთვისაც ამერიკას ეცხვრედ ედავება ამ კუნძულებს ისპანიას, რომელიც არა ნაკლებს სიცხარით ეურჩება ასე, რომ ლამის პარკში შეკრებილი კონფედერაცია ამერიკელებისა და ისპანიის ამის გამო დიშალოს და საქმე ახალ ომამდე მივიდეს.

ამერიკის გამოსვლამ მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე ყველას ყურები ააქცევტინა. ხუმრობა კი არ არის ამისთანა თითქმის ყოველად ძლიერის სახელმწიფოს ჩარევა ევროპიელთა პოლიტიკის საქმეებში. ჩვენა გვგონია, რომ ეს ერთი ისეთი უაღრესი ამბავია მეცხრამეტე საუკუნისა, რომლის თავსა და ბოლოს თვალად დავიდა ვერ გადასწვდება.

რადა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ბევრს დაატოვებინებს ძველს გზასა, ზე ძველს მეგობარს ზე ახალს მოანახვინებს ხელ-ახლად კავშირთა დაწყობისათვის და ერთმანეთში გასვლა-გამოსვლისათვის.

ვისაც ეხლა ფეხზე მაგრად და შეურყეველად დგომა უნდა შორეულ აღმოსავლეთში, არ შეიძლება ნატვრის თვლი ამერიკაზე არ მიმოქიოს და მისი მომხრეობა და შეგობრობა ვოდა ევროპელთა საპოლიტიკო საქმეში გადაახინებდნენ ან და ან დასავლეთ საქართველოში, თუ მტერი აღმოსავლეთ საქართველოს მოადგებოდა. თუ მტერი დასავლეთს საქართველოს მიაღებოდა, მაშინ მცხოვრებლების ცენა აღმოსავლეთ საქართველოსკენ დაიწყებოდა. გარემო ომი რომ გათავდებოდა, ხშირად საქართველოში შინაური ომი დაიწყებოდა უფრო უარესი და უძლიერესი — შინაური ომები საქართველოში ყოველთვის იყო შედეგი გარემო ომებისა და გარემო ომები — შინაურის ომებისა.

სასტიკი საქციელი ბატონებისა, ანუ თავადებისა იყო იმისი მიზეზი, რომ უკმაყოფილო, შევიწროვებული გლეხები გარბოდნენ ერთის სამეფოდან ან სამთავროდან მეორეში. უკმაყოფილოები უფრო სარგებლობდნენ მეფეებისა და მთავრების განხეთქილებით; ისინი გადადიოდნენ იმ სამთავროში, რომელიც იყო მტერა იმ სამთავროს, ან სამეფოსა, საი-

არ მოიწადინოს სულითა და გულით. რა თქმა უნდა, ეს ახალი გარემოება ქვეყნებზე დაეყრება ახალთა კავშირთა წყობას სულ სხვა განზრახვითა და სურვილითა, ვიდრე დღევანდელი კავშირთა წყობაა შიგ ევროპაში. აქ ერთმანეთში გასვლა-გამოსვლისათვის არა მცირე მნიშვნელობა ექმნება იაპონიასაც, რომელსაც მეტის-მეტად ამწარებს ევროპის ზოგიერთის დიდის სახელმწიფოების ჩადგომა ჩინეთში, იმტომ რომ იაპონია ჩინეთზე ზედ-მოქმედებს მარტო თავისთვის გამოვლოდა ჩინეთზე გამარჯვების შემდეგ და ეხლა ევროპიელნი შეეკიდნენ და კრიკაში ჩაუდგნენ. ბევრი ნიშნებია იმისი, რომ იაპონია, ამერიკა და ინგლისი ერთმანეთს მიუდგებიან იმტომ, რომ ამ სამთა სახელმწიფოთა შორის უფრო ადვილად შესათანხმებელი და მოსარჩებელი ინტერესებია შორეულ აღმოსავლეთში, ვიდრე სხვა ვისთანმე.

თუ ეს ასე მოხდა, სხვა გზა არ არის, თუ არ ის, რომ ან საფრანგეთმა, გერმანიამ და რუსეთმა ერთმანეთს ხელი მიაწოდონ საზავოდ და საკავშიროდ, ან ერთ-ერთი ამთავანი უნდა მიეკედლოს ინგლისს, იაპონიას და ამერიკას. ყოველივე ეს, მართალია, ძნელი საფიქრებელია, მაგრამ შესაძლებელი კი.

თუ შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა გარემოებამ ყოველივე ეს მოახდინა, აწ არსებულნი კავშირნი ევროპის სახელმწიფოთა, უქვევლია უნდა შეიცვალოს, ან სრულიად დაირღვეს. ამ საქმეთა ვითარებაში, ამ ერთმანეთის მოწყობაში დღეს ინგლისს თუ უპირველესი არა, უდიდესი ადგილი უჭირავს და ამით აიხსნება იგი გათამამებული საქციელი ინგლისისა, რომელმაც ასე უეცრად დაატყვევითა საფრანგეთი და ფაშოლიდგან კული ამოაძუებინა. ამით აიხსნება იგი გაბედული რიხიც და ქექა-ქუხილი, რომელსაც მოასწავებენ სალისბერისა და ჩამბერლენის სიტყვები ამ ბოლოს ხანებში.

ახალი ამბავი

აღგილობრივის რუსულის გახეთქების სიტყვით კავკასიის მთა-

დგანაც იგი გარბოდა. თავადებიც გარბოდნენ ერთის კუთხიდან მეორეში, თუმცა გლეხებთან შედარებით უფრო ნაკლებად — რადგან თავადიშვილი, უარის მყოფელი თავისის მეფის, ან მთავრისა ჰკარგავდა თავისს ღირსებას.

ასეთ გადასახლებ-გადმოსახლების ისტორიული საბუთი აწმყო ცხოვრებაა. ვისაც ჰსურს ასწეროს და შეუდაროს გვარები საქართველოს ერთის კუთხის მცხოვრებლებისა მეორე კუთხის მცხოვრებლებისას, დარწმუნდება, რომ საქართველოს მცხოვრებლები ერთმანეთში ყოველთვის ირეოდნენ და იცვლებოდნენ, რადგანაც გვარები გადასახლებულებისა ან სრულიად არ შეცვლილა, ან თუ შეცვლილა, ძალიან მცირე მთელის სტატისტიკურის ცნობების მოყვანა ძალიან სასარგებლო იქმნებოდა, რომ დაგვერწმუნებინა ისინი, რომლებიც გაიძახიან: „აფხაზები უცხო ტომის ხალხი არისო“, მოვაყვან რამოდენიმე: თავ. ქავკაძეები — იმერეთში

ვარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ბაქოდან ტფილისში 14 ნოემბერს დაბრუნდება.

როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ — წელს პეტერბურგის სხვა-და-სხვა უმაღლესს საწავლებელში სწავლას დაამთავრებს 15 ქართველი. მათ შორის ერთი, სახელდობრ, ჯავახიშვილი უთუოდ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ იქმნება დატოვებული საპრაფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. ეს პირველი მაგალითია, რომ რუსეთის რომელსამე ქალაქის უმაღლესს საწავლებლებში ერთს წელიწადს ამდენს ქართველს დაემთავრებინოს სწავლა. ამ ახლო მომავალში დავებულად დაწვრილებით სასტატისტიკო ცნობებს უმაღლესს საწავლებლებში მოსწავლე ქართველების შესახებ.

აზრად აქვთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა საბოლოოდ გადასწყვიტოს ერობის შემოღების საქმე, მოახდინონ მომავლის წლის თებერვალს. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა უკვე მიიღო ოთხის მაზრის თავად-აზნაურთა კრების დადგენილება ერობის შემოღების შესახებ. ჯერ ჯერობით მხოლოდ ორს მაზრას არ წარუდგენია კრების დადგენილება — ბორჩალოსასა და დუშეთისას, რის გამოც გუბერნიის წინამძღოლმა მათაც სთხოვა დროზედ წარმოადგინონ დადგენილებანი.

კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია 9 ნოემბერს შეუდგა ქალაქის საქმიო ლაბორატორიის რევიზიას. ქალაქის სამკურნალოს და აფთექის რევიზია კომისიამ უკვე დაამთავრა.

ტფილისის პოლიცემისტრმა სთხოვა ქალაქის მოურავს განკარგულება მოახდინეთ, რომ ხის დუქნები იარაღუკაში დაუყავნებლივ გაუქმებულ იქმნასო.

კვრას, 8 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესსიამ დაიწყო ქ. ახალ-

ქავკაიანიძენი (გლეხები არიან). ფალავანიშვილები — იმერეთშიაც ფალავანიშვილები (თავადებიც არიან აზნაურებიც, ვგონებ გლეხებიც). ერისთავები, ყიფიანები, იოსელიანები, აბაშიძეები — არიან ქართლშიაც და იმერეთშიაც. ძნელი გასაგებია: რომელ კუთხიდან რომელშია გადასული ეს გვარეულობა. ქართველობას ერთი მამული, მიწა-წყალი ჰქონდა და თავისუფლად გადადგამოდიდნენ, როგორც ამას გარემოება, ნამეტნავად მტრის ბრძოლა და შევიწროება მოითხოვდა. ამიტომაც აღვნიშნავ ერთსა და იმავე გვარებს: ბარათაშვილები (ქართლში აც-იმერეთშიაც); ჩიჩუა (მეგრელიაში), ჩაჩუა (იმერეთში), ფხვიძეები (მეგრელიაშიც — იმერეთშიაც); ცხვედაძეები (ქართლ-კახეთში), ცხადაძეები (იმერეთში), ხვადაძეები; თვარლიაშვილები (ქართლში) — იმერეთში, თვარდაძეები, ან თვარლოძეები; ვარლიაშვილი (კახეთში), ვარდოსანიძეები (იმერეთში) და სხვ. უფრო მე-

ტიხეში მეფისაშვილის ქორეკლეს ქმის განხილვა. სასამართლოს შეტანის ხვალ დავექვდავთ.

მკითხველებს ესომებათ უთუოდ, რომ ამას წინად დუშეთში მხამინის სოკოსაგან მოიწამლა შტაბს-კაპიტანი ლონგინოვი და იმის ოჯახობა. ვადარჩა მხოლოდ ლონგინოვის ორი ბავშვი, ერთი შვიდის თვისა და მეორე ხუთის წლისა. ამ ბავშვების აღზრდა უყისრიათ პირველია — პორუჩიკს ბეგიაშვილს, ხოლო მეორისა — პორუჩიკს ხუციშვილს. ვაზ. „კავკასის“ სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელს ნება დაურთავს დროებით შემწეობა აღმოეჩინოთ ობლებს.

გუშინდელს ნომერში ერთი სამწუხარო შეცდომა შეგვგვარარეპორტიორის უყურადღებობით. გამოცხადებული გვაქვს, ვითომ პოლიცემისტრს „პურ-ღენო“-ს სასტუმროსათვის ღამის 12 საათს შემდეგ აღეკრძალოს ვაქრობა უსუფთაობისა გამო. პირიქით, „პურ-ღენო“-ს სასტუმრო ყოველად ფაქიზად და სუფთად აღმოჩნდა, ხოლო უსუფთაოდ კომისიამ, ტილოუქურას სასტუმრო იცნო, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, და ამ სასტუმროს აღუკრძალა ვაქრობა ღამის 12 საათს შემდეგ.

წელს ართვინის ოლქში ღვინის მოსავალი შარშანდელზედ უკეთესი იყო. ყურძენი იყიდებოდა ფუთი 60—80 კაპეკად, მაქარი ერთი ბათმანი 60 კაპ. სიმინდის მოსავალი საშუალოზედ ნაკლები იყო. ზეთის ხილი, ზამთრის ყინვების გამო, ნაკლები მოვიდა, ვიდრე წინა წლებში. ამ ქამად ზეთის ხილი ფუთი 3 მან. 50 კაპ. იყიდება. ბათუმის ოლქში სიმინდის მოსავალი ყველგან ერთნაირი არ იყო: ზღვის სანაპირო ადგილებში უმეტეს ნაწილად კარგი იყო; აქარაში სიმინდი გვალვამ დააზიანა და ამიტომ ცუდი მოსავალი იყო. სიმინდი ოლქში ამ ქამად ფასობს ფუთი 50 კაპ. ბრინჯისა გვარავი მოსავალი იყო; ფასობს ფუთი 2 მან.—2 მან. 40 კაპ. ღვინის მოსავალი მთელს ოლქში კარგი იყო. იზაბელლა ფუთი 30—40 კაპ. ფასობს. ვაშლისა და მსხლის მოსავალი საშუალოა. სოხუმის ოლქში თამ-

თია გადასახლებულების რიცხვი (XVI—XIX საუკ.) ქართლ-კახეთ იმერეთიდან მეგრელიაში და აქედან-კი აფხაზეთში. ერთი და იგივე გვარი გვხვდება აღნიშნულ ოთხ კუთხეში: ბერიძეები — ბერძენები, ფირცხალავა (მეგრელიაში, იმერეთში) — ფირცხელაური (თუშეთში). ხელაძე (ქართლ-კახეთში), ხელიძე (იმერეთში), ხელაია (მეგრელიასა და აფხაზეთში). ეხლანდელის მეგრელიის მცხოვრებლები, (რომლებსაც „მეგრელებს ეძახიან: თოფურიძე — თოფურია, გამზარდია შვილი — გამზარდია, წერეთელი — გაწერელია, დაღუნაშვილი — დაღუნეიშვილი, კალაძე — კალანდაძე — კალანდარიშვილი, იმერეთიდან არიან გადასახლებულნი. იმერეთიდან გადასახლებული მე-XVII—XVIII საუკ. განავლობაში არიან ის გვარები მეგრელიის მცხოვრებლების, რომლებიც თავდებიან „შვილი“ და „ძვე“. ქვემო იმერეთი და მეგრელია საესეა ერთი და იმავე გვარებით, ლოლუა-

ბაქოს მოსავალი კარგია; ფუთი 8 მანეთიდან 16 მანეთამდე იყიდება. ღვინისა და სიმინდის მოსავალი საშუალო იყო. („კავკასი“).

დუშეთიდან სწერენ „ტფ. ფურ.“ ქალაქის თვით-მართებლობაში, ქალაქის მოედნისა და სასწორების იჯარადაართა, ოსიფოვისა და ალიხანოვის, თხოვნით, ამ იჯარადაართა სასარგებლოდ, გადასახადი დაადო იმ ურუმებს და სხვა ეტლებს, რომლებითაც რამე სანოვანს მოიტანენ და აქ გააჩერებენ და აგრეთვე იმ წვრილ-ფეხა და მსხვილ ფეხა საქონელს, რომელსაც გასასყიდად მორეკავენ. თვითოველ ურუმსა და ეტლს, ერთ ოთხ-კუთხ საყენის ადგილის დაქირისათვის, დაელო გარდასახადი დღეში 5 კაპ., მსხვილ-ფეხა საქონელსა და ცხენს თითო თავზედ—10 კაპ., ხოლო წვრილ-ფეხა საქონელს, როგორც, მაგალითად, ხბოს, ცხვარს, თხას, ღორს და სხვას—3 კაპ. თითო თავზედ. ეს გადაწყვეტილება ტფილისის გუბერნატორის წარუდგინეს დასამტკიცებლად.

გაზ. „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, რამდენსამე კაპიტალისტს აზრად აქვთ გაშვართონ ტფილისისა და კოჯორის შუა ელექტრონის რკინის გზა. როგორც გამოანგარიშებულია ამ გზის გაყვანას დასჭირდება 600,000 მანეთი.

ბაქოდან სწერენ „ახ. მიმ.“-ას, რომ ბაქოშიაღიკ შეუღდენენ ქალაქის თვით-მართებლობის საქმეთა რევიზიასაო. რევიზიის მოხდენა მინდობილი ჰქონია ბაქოს ვიცე-გუბერნატორს ბ ნ ლილევს.

საგუგამოს კვლეა. 14 ოქტომბერს სოფ. ზაქარაში ბიწმენდის მცხოვრებელმა ბ—შვილმა დანიშნა ქალი. ეს ქალი წინადაც რამდენჯერმე ყოფილა დანიშნული. სხვათა შორის იგივე ქალი სამის წლის წინად დაუნიშნავს სოფ. ვალანის მცხოვრებს გლეხს გიორგი მთიუ-ლიშვილს, რომელსაც შინაურ გარემოებათა გამო ჯვარი ჯერ-ჯერობით ვერ დაეწერა; მაგრამ აპირებდა-კი უსათუოდ იმ ქალზედ ჯვრის-წერას, როცა კი გარემოება ხელს შე-

უწყობდა. როცა გაიგო, რომ მის მიერ დანიშნულს ქალს სხვას აძლევნო, სათაკლოდ მიიწინა ასეთი დამცირება და თავისი მძებითა და ნათესავებით გაემგზავრა სოფ. ზაქარას საპატარძლოს სახლში. სახლის კარები დაკეტილი დაუხვდათ და სახლში იყო მხოლოდ ახალ დანიშნული ვაჟი. ერთი მხლებელთაგანი მიხაშოთინაშვილი, ღვინითგაბრუნებული, ეცა დერეფნის ფიცრულს კედელს, ერთი ფიცარი გადმოაგდო, ნახევრად გადავიდა და ამ დროს მოხვდა კიდევ ახალ დანიშნულისგან ცხელი ტყვია, რომელმაც 25 საათის შემდეგ სული დააღვივნა. ამავე დროს შევიდნენ სახლში მძებნი გიორგი მთიულის შვილისა და ახალ-დანიშნულს ხანჯლას წართმევა დაუწყეს, მაგრამ ვიდრე წართმევენდნენ, იმან მოასწრო ერთის ძმის თავში დაქრა. ამავე დროს გარეთ ძველს სასიძოს და იმის თანამხლებელს გიორგი შოთინაშვილს, ძმას მოკლულისას, დაესხნენ თავს მამასახლისი ჩაფრებითა და ორის ზაქარელ გლეხით და ორივეს იმდენი სცემეს კეტინა და მათრახებით თავში, ვიდრე უკანასკნელი უგრძობოდ დაეცემოდნენ, თუმცა სენი არაფერს წინააღმდეგობას არ იჩენდნენ, ხელი არ გამოუღიოთ და იარაღიც თან არც ერთს არ ჰქონია. შემდეგ ყველა ეს დაბეჯილ-დარეტიანებული ხალხი მამასახლისის ბრძანებით გომურში შერეკეს და იქ მეორე დღემდის უყუარაღებოდ ეყარნენ. იმათში, როგორც უკვე ზევით მოგახსენეთ, ერთი მეორე დღეს გარდაიცვალა, ერთი მესამე დღეს ძლივს მოვიდა გრძობაზედ და ერთი დღემდის ავად არის და ჰკუზუნდ შეშლილსა ჰგავს. მზრის ექიმის აზრით, ვერც ის გადარჩება სიკვდილს.

ეს ამბავი შუადღისას მოხდა. იმავე დღეს მოვიდა მცხეთის ბოქაული და ოქმი შეადგინა. ამ ორის კვირის წინად აქ იყო დუშეთის სასამართლოს გამოძიებული მზრის ექიმით და ადგილობრივ შეამოწმა საქმის გარემოებანი. ამ ხუთის დღის წინად ქალი ისევ წინადადებდა სასიძომ გამოი-ულიშვილმა შეერთო. ვნახოთ გამოძიება რას გვიჩვენებს.

8 ნოემბერს, საღამოთი, ყორღანოვის ქუჩიდან არსენალის ქუჩაზედ გადასვლის დროს ეტლით კნ. ნატალია მაჩაბელმა დაჰკარგა საკვიაო, რომელშიაც ილი ბანკის ბილეთები, ფული და სხვა ძვირფასი ნივთები 30,000 მანეთისა. საკვიაოვი ვილაც ფრიდმანმა იპოვნა და პოლიცემისტერს წარუდგინა.

სამტრედიიდან სწერენ რუსულ გაზეთებს, რომ 8 ნოემბერს ვილაც ბოროტ-განზრახველთაგან და დაჰკარგეს დ. კირტაძეს ლუქანიო. ქურდებს წაუღიათ 18 მანეთი ფულად და 60 მანეთის ჩაი.

ახალ-სენაკიდან სწერენ რუსულ გაზეთებს, რომ 7 ნოემბერს ვილაც მგზავრები რიცხვით 20-მდე კაცი, სენაკის სადგურზედ უბილეთოდ მატარებელში ჩასხდნენ, ხოლო სად. აბაშაში, როდესაც მატარებელი გაჩერდა, წინააღმდეგობა გაუწიეს კონსტუტორებს, სცემეს მათ და გაიქცნენო, ჯანდარმა ერთი დამნაშავეთაგანი შეიპყრო და პოლიციას გარდასცა.

ქ-ს ავლიშვილისას ქართულ დრამატულ საზოგადოებისათვის შეუწირავს თავისი ტანისამოსი, რომელსაც ისტორიულ პიესებში ხმარობდა.

ქალაქის საბჭო 9 ნოემბერი.

2 და 6 ნოემბერის კრებების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, საბჭომ მოისმინა მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დებეშა, ქალაქის მოურავის ბ-ნ ევანგულოვის მისალოც დებეშის პასუხად გამოგზავნილი, და ბ-ნ ქალაქის მოურავის მისალოცი დებეშა მის იმპერატორებით უმაღლესობასთან გაგზავნილი.

შემდეგ კრების თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს,—ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანხმად ქალაქის გამკობის ორი წევრი უნდა აირჩიოთ და კანდიდატები დასახელეთო.

სმუბა. დღეს ვერ ავირჩევთ... შემდეგისთვის გადავდეთ... ერთის კვირით გადავდეთ... ერთის თვით... ორის კვირით...

თავმჯდომარე. მოწერილობა ასეა, რომ დაუყოვნებლივ აირჩიეთო.

სმ. გ. მ. თუმანაძე. განსახილველ საკნებში ეს საქმე პირველ ადგილას არის მოთავსებული. უკანასკნელ

ადგილას მოვითავსოთ იგი და რადგან დღეს დანარჩენ საკნების განხილვის ვერ მოვასწრებთ და, მაშასადამე, ამ საკნამდე ვერ ჩავალთ, ისე გამოვა, ვითომ არ გადაგვიდგია დღეს ეს არჩევანები, რამედ ვერ მოგვისწერია.

სმ. იოანესიანი. თავადმა თუმანოვმა დაიგვიანა. ასეთის წინადადების შემოტანა თუ ჰსურდა, პირველადვე უნდა განეცხადებინა, ვიდრე თავმჯდომარე განსახილველად წარმოადგენდა ამ საგანს და საბჭო კამათს ასტეხდა.

სმ. კვანგულაძე. ახალ წევრებს რომ ვირჩევთ, განა ვერმიშვენი და ივანეკო დათხოვნილი არიან? (თავმჯდომარეს) თქვენ მოგივიდათ ამის შესახებ ქალაქი?

თავმჯდომარე. ოფიციალურად გამოცხადებულია იმათი დათხოვნა და ეს საკმარისი უნდა იყოს.

სმ. კვანგულაძე. კითხულობს გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ (№ 8149, 3 ნოემბერი) ტფილისიდან გაგზავნილ დებეშას, რომელშიაც სწერია—ჩვენის ქალაქის თვით-მართებლობაში რევიზიამ აღმოაჩინა შესამჩნევი ბოროტ-მოქმედებაო. მთავარ-მართებლის თავად გალიცინის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილი არიან გამგეობის წევრნი ვერმიშვენი და ივანეკო. აი, ბატონებო, ასეთი დებეშა არის გაგზავნილი ტფილისიდან. ქალაქის მოურავი ვალდებულია გაგვაგებინოს,—მართლა აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედება რევიზიამ, რა ბოროტ-მოქმედება და გამგეობის დათხოვნილ წევრებს რა დამოკიდებულება ჰქონდათ იმასთან? საბჭოს ნამდვილი ცნობები უნდა ჰქონდეს ყოველისავე ამის შესახებ, რომ დროზედ საჭირო ღონისძიებანი მიიღოს.

თავმჯდომარე. მე არ ვიცი, რა ბოროტ-მოქმედება, მხოლოდ გავკრით გვიჩვენეს; ამიტომ ახლა არაფრის თქმა არ შემიძლიან. ხმოსანს თუ ჰსურს გამოირკვეს ეს საგანი, დასაბუთებული წინადადება უნდა შემოიტანოს

სმუბა. ვისი გაგზავნილია ეს დებეშა?

სმუბა. დებეშათა სააგენტოს აგენტის.

პაღიანი და სხვ. ყოველ ერს სასტიკად აქვს გარჩეული ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული, და რჯულ-სარწმუნოებრივ სახელები, მხოლოდ ქართველობაშია, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სახელების არე-დარევა. მაგალითად: მეგრელს რომ ჰქვიათ: „ვიწა ხარო“, ის მოგიგებს: მარგალი კოჩი ვარ პარტონი. თითქოს იმას ეკითხებოდეთ: „სადაური ხარო“... ამისთანა პასუხს იძლევა ყველა: იმერელი, კახელი, თუში, აფხაზი. აფხაზი, იმერელი, მეგრელი კახელი თუ ტომს აღნიშნავს, მაშასადამე, რუსთაველი, ჯეკონდიდელი, წილქნელი, ტფილელი გვარები ყოფილა! ჩვეულება იყო ამისთანა: როგორც სასულიერო წოდებას, ისე მეფეებს, ტფილისის, როგორც მთელის საქართველოს მეფეების გარდა და მთავრებს აძლევდნენ იმ ადგილის სახელს, რომლის მმართველაც ისინი იყვნენ.

მართა ეტნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელ-წოდებანი არ ირევა ჩვენში, ასევე ემართება ეტნოგრაფიულ და რჯულ-სარწმუნო-

სმუბა. ვინ არის აგენტის სმუბა. ველიჩკოა, ყველაზედ თავმჯდომარემ კიდევ მოაგონა კრებას გამგეობის წევრების არჩევანების შესახებ წინადადება და ბ-ნ გუბერნატორის მოწერილობა წაიკითხა ამ საგნის შესახებ.

საბჭომ ხმის უმეტესობით ეს არჩევანები გადასდო ორის კვირით.

გამგეობის წევრმა თავ. არლუთინსკი-დოლოგოვსკოვმა წაიკითხა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის მოწერილობა იმის შესახებ, რომ სასანიტარო-აღმასრულებელი კომისია უნდა იქმნას არჩეული, რომელმაც ღონისძიებანი უნდა იხმაროს, რათა შვიი ქირი არ შემოვიდეს ქალაქში და თუ შემოვიდა, ბრძოლა უნდა გაუწიოსო.

ამ საგნის შესახებ გამგეობას დაედგინა, რომ ხსენებულს კომისიაში ხუთი წევრი უნდა იქმნას არჩეული, რომელიც ქალაქის გამგეობის წევრის თავ. არლუთინსკისა და ქალაქისავე სასანიტარო ინსპექტორის თავმჯდომარეობით იმუშავებენო.

სმ. ხუდადავა. ასეთი კომისიები წინადაც ხშირად იყო არჩეული, რომელთაც მთელი ტომები დასწერეს, მაგრამ ქალაქი ისევ იმ დგომარეობაშია სისუფთავის მხრივ, როგორც იქნა წინად იყო. თუ გვინდა, რომ კომისიის მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, ქალაქის მხრივ ხარჯი უნდა იქმნას გაწეული.

სმა. ჩვენ ნაბრძანები გვაქვს კომისიის არჩევა!

სმ. ხუდადავა. რადგან გვირძანებენ, მაშ ჩვენ არაფერი გვცოდნია და არც პატრონობა შეგვძლება ჩვენი-სავე თავისა. რადგან ასეა, უნდა გავჩუმდეთ.

თავმჯდომარე. დასახელეთ კანდიდატები.

საბჭომ კენჭით კომისიის წევრებად აირჩია ბ-ნი: ქოჩორიანიცი, ლუ-ნკევიჩი, ვესელოვსკოვი, შახარო-ნიანიცი და ე. ს. ბაბოვი. ამათ კანდიდატებათ—ბ-ნი ხუდადავი, ოდ-ნოსუმოვი, წურინოვი, მელიქოვი, ბაღდასაროვი და ა. ს. ბაბოვი.

შემდეგ ბ-ნის ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანხმად, საბჭო შეუღდა ქალაქის

ნოებრივ სახელ-წოდებას. მოგვხსენებთ, ქართველები არიან (მართლმადიდებლებს გარდა): მაჰმადიანთა სარწმუნოებისანი (ოსმალეთსა და სპარსეთში), კათოლიკენი, სომეხ-გრიგორიანი და ებრაელნი. ქართველ-კათოლიკეს რომ ჰქვიათ: „ვიწა ხარო“, გიპასუხებ: „მე ფრანგი ვარო“. სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების ქართველს რომ ჰქვიათ იგივე: „სომეხი ვარო“: არც ერთი არ იტყვის, ქეშპარიტად სათქმელს; „მე ვარ ქაშველი სომეხ-გრიგორიანი“. გულით ისინი მაინც მოწორებულნი არიან ქართველობას). ებრაელთა სარწმუნოებისანიც არიან ქართველები: ჯანაშვილები, ფიჩხაძეები, მეგრელიშვილები და სხვანი.


აფხაზი რაჟ. გორდულაძე

*) სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების ქართველობაში გვარებიც შეიცვალეს „იანცი“ ან „ოვ“-ად. მაგალითად, თუმანიანცი (შვილი), სულხანიანცი (შვილი), მისუ-რიანიცი (ძე).

ლოლაძე, გუნია-გუნცაძე. აფხაზეთში არის გვარი ანჩიბაძე—მეგრულიაში გადმოსულან და მეგრულად გაუყვანებიათ გვარი „ალშიბაია“. აფხაზეთიდან მეგრულიაში, გურიაში, იმერეთში გადასულა გვარი გორდულაძეები, გორდელაძეები, ბურდულაძეები; აფხაზეთიდან—ქართლ-კახეთში თავ. აფხაზები და ბევრი სხვ. საუბედურო ის არის, რომ გადასახლებულს ხშირად მთელად ეცვლება ბოდა გვარი: თავ. დიასამიძეები—იმერეთში (ქვიტირში) ქვიშვილებად არიან აღიარებულნი. სვანეთში ჩარკვიანი, ქართლში ჩარკვიანი, იმერეთში ჩაშკვაძე, ჯანკვაძე. ხშირად გადასახლებულებს იმ კუთხის გვარი დაჰქმევიათ, საიდგანაც გადმოსახლებულან; იმერელი (ს) შვილი, მეგრელი (ს) შვილი, მესხი (ს) შვილი, სვანი (ს) ძე, სვანი (ს) შვილი, მესხი კახი (ს) ძე, კახია (მეგრულიაში). ხშირად გადმოსახლებულებს იმ სოფლისათვის ის სახელი უწოდებიათ, რომელიც იმ კუთხეს ერქვა, საიდანაც გადმოსახლდნენ: სვე(ა)ნეთი, მესხეთი, იმერეთი. სპარსეთისა

და ოსმალეთშიც გადასახლებულებიც ასე მოქცეულან. საქართველოს ნაწილების სახელების წარმომდინარეობა გეოგრაფიული სახელწოდებათაგან გასაკვირველი არ უნდა იყოს იმისთვის, ვინც ცოტად მაინც იცის მსოფლიო პოლიტიკური ისტორია. როცა რომელიმე ტომი, ერი აფორიალებდა ძლიერების დროშას და დაიპყრობდა რომელსამე ადგილ-მამულს, იმ ადგილს დაჰყოფდა კუთხეებად და თვითაოველს კუთხეს უწოდებდა გეოგრაფიულს სახელს; მთელს მამულს-კი დაარქმევდა იმისთანა სახელს, რომელიც აღნიშნავდა: „ეს მამული ამ და ამ ერს, ტომს ეკუთვნისო“. მაგალ. „სა-ქართველო-ო“, რუსეთი, გერმანი ეთი, სა-ფრანგეთი და სხვ. საქართველო მეფე ფარნაოზმა დაყო რვა კუთხეთ: საერისთაოდ. ხშირად ისტორიაში და მატანეში ქართველი უფრო ქართლებს ეწოდება. ეს იმიოთ, ახსენება, რომ საქართველობის ბუდე და შუაგული ქართლი და ტფილისი იყო“.

ნელოდ გავხადო მყობად ცხოვრების ნიაღვრედ სახმარად. არსებობს ბევრნაირი განსაზღვრა ადამიანისა, მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს: ა) ეტნოგრაფიულს (ეროვნულს), ბ) გეოგრაფიულს (ქვეყნიურს) და გ) სარწმუნოებრივს. ეტნოგრაფიულს განსაზღვრას ადგილი აქვს მაშინ, როცა გეკითხებიან: „ვიწა ხარ?“ უნდა უპასუხო: სახელი, გვარი, ტომი. გეოგრაფიულს განსაზღვრას ადგილი აქვს მაშინ, როცა გეკითხებიან: „სადაური ხარ?“ ამ კითხვაზედ სოფლის მცხოვრებმა უნდა აღნიშნოს: სოფელი, საზოგადოება, მზრა, გუბერნია... ქალაქის მცხოვრებმა: ბინა, სახლი, ქუჩა, უბანი, ქალაქი... როდესაც ეკითხებიან: „სადაური ხარო?“ შეიძლება ქართველმა მიუგოს: ქართლელი ვარ, მეგრელი ვარ, კახელი, აფხაზი, იმერელი და სხვ. სარწმუნოებრივი განსაზღვრა სულ სხვაა. კითხულობენ: რა სარწმუნოებისა ხარ? პასუხად: მართლ-მადიდებელი, კათოლიკე, სომეხ-გრიგორიანი და სხვ. რა რჯულისა ხარ? ქრისტიანი, მა-



გამგეობისა და საბჭოს კომისიის მიერ შემუშავებული ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან დასაბუთებელი შეკრულობის პროექტის განხილვის ქალაქის ცხენის რკინის გზის იჯარით გაცემის შესახებ.

მთელი პროექტის განხილვა კრებამ ვერ მოასწრო. მხოლოდ რამდენიმე მუხლი იქნა წაკითხული და შეწყარბული, ზოგიერთ წევრებში უმნიშვნელო ადგილის გარდა, რომელიც საბჭომ შეასწორა. პროექტის წინააღმდეგნი მხოლოდ ორი ხმოსანი — ბ. ნი ხუდალოვი და ევან. გულოვი იყვნენ საზოგადოდ და ესენი კამათობდნენ თავ-გა-ოდებით; დანარჩენი ხმოსნები კი დინჯად ისხდნენ და პროექტს მომხრეობდნენ.

მეორე და წარსული და სამაგალითო მისი საქციელი სწორედ რომ საუფრად-ღებოა. ორივე გრძობიერი სიტყვა, ნათქვამი გლეხისათვის, სწორედ სწორად იმ არა სასურველს და მოკიდებულებას ბატონსა და ნაყმებს შორის, რომელიც არა იშვიათად ჩვენში.

რუსეთი

საერთო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქ. კიშინევიში დაარსებულ იქმნას ხელოსანთა და ქარხნების მუშათათვის ხატვის კურსები.

— იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ახალის სამოქალაქო დებულების შემუშავება, შეაქვს სახელმწიფო საბჭოში განსახილველად პროექტი უკანონოდ შობილთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

— ამას წინადაც ვწერდით, რომ მომავალ წელს პეტერბურგში მოხდება სრულიად რუსეთის ბაღოსანთა კრება. ამ კრების თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა საიმპერატორო საბოტანიკო ბაღის დირექტორი ა. ა. ფიშერ ფონ-ვალდგეიმი. კრება ხუთ სექციად იქმნება დაყოფილი და გასტანს ხუთ დღეს.

— ფრინველთა გამშენებელმა რუსეთის საზოგადოებამ გადაწყვიტა მომავლის წლის პირველ იანვრიდან გამოსცეს პეტერბურგში უსრულალი „Птицеводное хозяйство“. უსრულალი თვეში ორჯერ გამოვა.

— მომავალ წლის 6 მისში პეტერბურგს გამართული იქმნება ფრინველთა საერთა-შორისო გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი ევროპის მრავალმა ქალაქმა განაცხადა. სხვათა შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც მიიღებენ მონაწილეობას. გამოფენა დაიწყება პირველ მისს და გასტანს 15 მისამდე.

— ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება შვეიცარი მენციერი ოლოფ ლეგერსტრემი, რომელიც ჩრდილოეთ ციმბირში აპირებს გამგზავრებას ანდრეს კვალის მოსაძებნად.

უცხოეთი

ინგლისი. ფაშადის გამოატყობილ უსამართლოებებს შედეგ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებმა სხვა და სხვა ადგილას მრავალი სიტყვა წამოსთქვეს ინგლისის გარეშე პოლიტიკის შესახებ. საუფრადღებოა, რომ როგორც კონსერვატორები, ისე დემოკრატები ერთნაირად იწონებენ ღირს საღისებრის საქციელს ფაშადის და საფრანგეთის შესახებ და საზოგადოდ ინგლისის-გლანდელ მთავრობის გარეშე პოლისტიკის ერთნაირად იკავებენ უნდობლად ეგვიპტის დასის ოსტორები.

მაგალითად, დემოკრატურ სამინისტროს დროს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფმა ასკოტმა სთქვა, სხვათა შორის, 31 ოქტომბერს დასავლეთში: კარგის ამის მომსახურებელი ის

გარემოებს, რომ ინგლისის და შვეიცარიულ შტატებს ეწინააღმდეგება სწორედ იმ დროს უმეტესდებიან ერთმანეთს, როცა შვეიცარიული შტატები გაიღვივდა და სახელმწიფო პოლიტიკის გზას დაადგა. ბრიტანის და ამერიკის ერთნაირი საქმეები აქვს ჩანეთში; ამიტომ ორივე სახელმწიფოს თანხმობით მოქმედებას საერთო მიზნის მისაღწევად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან შორეულს აღმოსავლეთში.

1 ნოემბერს სენდონში სააკტობო პლატის პრეზიდენტმა რიტჩიმ განაცხადა:

ინგლისს არა სურს საფრანგეთის გაჭრებას დაბრუნება; დემოკრატიის და შეაყვარებას, მაგრამ იმას გარდაწყვეტილი აქვს — ეგვიპტის უფლებას სრულად დაიბრუნოს ხელს ხელით მთელს ნილოსის ხეობაში.

ამას შემდეგ ამინტონში წარმოსთქვა სიტყვა გარეშე საქმეთა მინისტრის ამსანგად ნამყოფმა ელვარდ გრემი.

ღირს საღისებრის პოლიტიკის ფაშადის შესახებ თავადგან ბოლომდე კეთილშინებო, სთქვა გრემი. ეგვიპტე ინგლისსა იმ პირობით დაეცა, რომ შემდეგ დაეცა, მაგრამ საქმეთა მსჯელობამ ბევრჯერ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია დანაშაულის შესრულება. ინგლისსა რომ ეხლა ეგვიპტის თავი დაანებოს, იქ წინადაც არ უნდა მოხდეს და ამ ნაირად ინგლისი თავისათვის ხელით დაამოხსნას იმას, რაც თვითონ მან გააკეთა ამ ქვეყანაში.

სანისტორიო და საბიზნოსო-ფირო წერილები

ნუსხური ხელნაწერი № 123 (in quart., ფურც. 119), არის კრებული, რომელიც შეიცავს წერილებს: ა) განგებას საღმრთო წიგნთადა, ბ) უამის წიგნს ბასილი დიდისა და გ) უამის წიგნს იოანე ბაქობაძისა. წიგნში გამოხატულია თვით ეს წმიდანის, რომელიც ასრულებს საღმრთო წიგნს ტრანსკრიპციას. ამას გარდა ხელნაწერის უფრო გვიანდელი შეკრულებაც სურსოფრად სხვათა, რისათვისაც მსგავსად.

ხელნაწერის ბოლოში ანტონი 1 თავის საკუთარს ხელით სწერს: დაიბადა თეოდორა, ანტონი. დასაბამი-დგან. წელთა ვსეთა ქრისტეს. აქათ. ჩღვ. (=1706 წ.). თვესა. ოქტომბერსა. იხ. დღესა. კვირაჲსა. უამსა. დამისა. მესამესა. ათვრამეტისა. წლისა. მონაზონ. იქმნა. და. აღიკვეცა. მონასტერსა. წმიდასა. დვითის. მშობლისა. გაენათს. ფებრუალსა, ორსა. ფებრუალსა. სამსა. დიკონანდ. კელ. დასხმულ იქმნა. დღესა. შაბათსა. კელითა. გაენათედ. მიტროპოლიტისა. ფეთვიმისათა. წლისა. ოქტისა. მიტროპოლიტად. კელ. დასხმულ. იქმნა. აფხაზეთისა. კათოლიკოსისა. გრიგოლის. მიერ. საყდარსა ზედა. ქუთათისისასა. სევემბერსა. კხ. დღესა. შაბათსა. წლისა. ოქტომბრისა. დამწერა. მონასტერსა. წმიდასა. ნათლისმცემლისა, იოანესასა. თვესა. იანვრსა. ე. დღესა. ოთხშაბათსა დამტკიცებული სამწყსოსა. და ეკლესიასა. თვისისასა. ქრისტეს. აქათ. ჩღვ. (=1743 წელს).

დასაბამითგან ესეთ უდრის 1721 წელს და არა 1706 წ. (7223—5508=1721). ძნელია განაწილებად ითქვას, სახელდობრ რომელს წელიწადს დაიბადა ეს შესანიშნავი მოღვაწე — 1706 წელს თუ 1721 წ. ზოგი

ერთი სწერს, რომ ანტონი 1 დაიბადა 1720 წ. კითხვა ესეჯერეთ მთებზე დადგენილად, ვიდრე არ აღმოჩნდება უფროსი წერილები. ცხადია მხოლოდ, როდესაც ანტონი აღვიდა კათალიკოსის ტახტზე, ვერ იხილავდა მცირე წიგნის იმე ჰასაკითა.

ანტონი, ამბობს შემატანე, თუმიც ჰასაკითა იყო მცირე, გარდა სოლომონისა სიბრძნესა არა რად გლეხულ ექმნებოდა... კეთილი სათნოებით აღჭურვილი, ტრფილებითა სახე-ნათა შედმიწებითა აღჭურული და უფლად სარწმუნოებითა მტკიცედ დამტკიცებდა, მადლთ-მეგრე გაბრწყინებულად, არ დამცდებდა უამითი უამად სიბრძნისა წესთა განმსწავლისათვის, მართლად გამოკვლეული წიგნითა... აი ასე „მცირე იყო ჰასაკითა“ ანტონი, როდესაც კათალიკოს — ბატონად შეიქმნა 1743 წელს, როგორც თვითონვე ამბობს და 1744 წელს, როგორც შემატანე გავმოგვრეს.

მისასადაც თუ ანტონი სასატონად ტახტზე აღვიდა 1743 წელს და დასაბუთდა 1721 წ., იგი ამ დროს იქნებოდა მხოლოდ 22 წლის „ჰასაკითა მცირე“ ჰასაკითა.

დამაკვირდა

წარმოადგინე, რომ დანობის დროსი ხარ და ხუტავს მოაზრებ, რომ მხოლოდ დასრულდა გარდაცოცხების კარული

ადრე დაწოლა საძიად და ადრე ადგომა უმთავრესი მიზეზია ჯანმრთელობის, სიმდიდრისა და გონიერებისა.

შურნალ-გაზეთებისა

დრეფტის წყალობით ეშმაკის კუნძულმა ისე გაითქვა სახელი, რომ, ასე გასინჯეთ, ესლა ამ კუნძულს სასიერო და დროს გასატარებელ ადგილად იკავებდა აპირებენ მოწყობას. ქალაქ ჩიკაგოს ოპერის დირექტორს წინადადება მიუტოვა საფრანგეთის მთავრობისათვის — ეშმაკის კუნძული იჯარით მოშვებით წელსწამდე 25,000 დოლარითა. დირექტორს აზრად აქვს თურმე გამოართოს იქ რესტორანები, გააშენოს ბაღები და საზოგადოდ რაც შეიძლება კარგად მოაწყოს სასიეროდ და დროს გასატარებლად ეს კუნძული. გარდა ამისა განსაკუთრებული გეგმები იქმნება დანიშნული, რომელიც კუნძულსა და სხვა ქვეყნებს შორის იგლიან მგზავრების წასაყვანად და მოსაყვანად. იმ ადგილას, სადაც დრეფტის ჯარია, ანტრეპრენერს აზრად აქვს გამოართოს უზარ-მაზარი ფარდლები სასიეროდ. ანტრეპრენერი ჰპირდება საფრანგეთის მთავრობას — თუ დრეფტის დარაჯებს კუნძულზე დასტოვებთ, იმთ სასარგებლოდ 5000 დოლარს გარდაიხდიო, ხოლო თუ დრეფტის ხელ-აწლა გაამტყუნეს და კუნძულზე გაგზავნეს, ყოველსავე მოწყობილებას მოვლო და კუნძულს ისევ ისეთად ვაქცევ, როგორც წინად იყო. ამბობენ, ბევრმა ესლავე მიჰპართა ანტრეპრენერს და გამოუცხადა კუნძულზე გაგზავრების სურვილი.

ახალი წიგნები	
რედაქციამ მიიღო:	
1, „გოროლანოს“, ხუთ მოქმედებითანი ტრაგედია უილიამ შექსპირისა, ნათარგმნი ინგლისურადგან იკანე მანსბლის მიერ. წიგნი ღირს 30 კაპ.	
და 2, „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად“ მღვ. ნ. ყუბანევიშვილისა, მუთხე გამოცემა. ღირს უდიო 30 კაპ.	
წერილი რედაქციის მიხარო	
გულითადს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ პროზოოგისისა და ბ-ნ მიხეილ თუმანიშვილს, რომელთაც მცხეთის საჯარო წიგნთსაცავს შემოსწორეს: პირველმა სხვა დასხვა უსრულა, ხოლო მეორემ — ხუთის მანეთის წიგნები.	
მცხეთის წიგნთსაცავის გამგე ან. ციციშვილისა	
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის პალატიანი	
ისცილება შემდეგი წიგნები:	
აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.	ან. კაპ.
სახალხო ლექსები და ლექსები	20
საქართველოს ისტორია და ბაქარძისა	1
საქართველოს ისტორია მ. ბროსისი	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა	20
წარო წიგნი II მისივე	50
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ქიქინაძისა	40
როგორა ცხოვრობდნენ აღმნიშნები ძველად	25
ქ. ნიკოლაძის ნაწერები	30
კეთილი ძალი	10
თხზულ. მამია გურიელისა	1
ქრონიკები თ. ჟორდანიასი ძველის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე	25
ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, მისივე	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა	15
სვიმონ მეფე, მისივე	10
როსტომ მეფე, მისივე	10
წარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი	40
გედები, საყმაწვილო წიგნი პარტახი მოთ. ნინოშვილისა	20
ბირთვმანსი. კარგარეთე-ლისა	1
ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყლით	1
ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყლით	1
სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს	25
ანვაზე საკერი ანბანი	40
ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფისი	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებითანი მშვენიერის ყლით	10
მოლიბულ გზაზე, მოთხრობა	1
მთიულეთი აღ. ფრონელისა	70
სავლის მცველნი გოგებაშვილისა	20
ილია ქავჭავაძის ბიოგრაფია	20